
თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი



წერილის ნომერი: **18-01183253753**
თარიღი: **21/11/2018**
პინი: **1842**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 23 ოქტომბრის #60-0118296866 წერილი (AR1618565), რომლითაც ითხოვთ, ქ. თბილისში, ლიბანის II ჩიხი, (ყოფ. გაგრის ქ. #2) (ს.კ.: 01.11.03.003.002) (სამრეწველო ზონა 1) შპს „გაგრა პლუსის“ სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, ხე-მცენარის გადარგვასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) მე-2 თავის 21-ე მუხლის საფუძველზე და წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, ვინაიდან ხე-მცენარე ირგვება იმავე ტერიტორიაზე, არ ირღვევა ადგილზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა და შესაძლებლობის ფარგლებში ხე-მცენარის გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, სამსახური თანახმაა იმავე საკადასტრო ერთეულში გადაირგოს 1 ძირი თეთრი თუთა (#1 დიამეტრით 17სმ) მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას/წერილობით თანხმობასა და საბოლოო ნებართვას გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან.

მწვანე ნარგავის გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავის მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

ნებართვის მიმღებმა გადარგვის შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ, უნდა წარმოადგინოს გადარგული ხე-მცენარის მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტო მასალა.

გადარგული მწვანე ნარგავის 3 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში ნებართვის მიმღებს დაეკისრება ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის - საკომპენსაციო რგვის განხორციელების ვალდებულება.

დამატებით მოგახსენებთ, რომ მშენებლობის პროექტის შეთანხმების ეტაპზე საჭიროა მომზადდეს და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს წარედგინოს სამშენებლო ტერიტორიაზე კ-3 კოეფიციენტის ათვისების გამწვანების პროექტი, რომელშიც განმცხადებელმა შესაძლებელია გაითვალისწინოს გადასარგავი და ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების რაოდენობა. გამწვანების პროექტი უნდა მოიცავდეს:

- კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
- გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღს;

- გასაშენებელი ხე-მცენარეების სახეობებს (მათ შორის დახასიათება - ხნოვანება, სიმაღლე);(დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა შეირჩეს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან).
- გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
- გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირს;
- გაშენებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობის ხანგრძლივობას.
- მაკეტის/ფოტომონტაჟის სახით ვიზუალურად გამოსახულ გამწვანების პროექტს.

ასევე გაცნობებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა, ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის ნარგავებით, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი.

წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი. დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 14 სანტიმეტრი.

გასამწვანებელი მცენარეების სახეობები უნდა შეირჩეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან. გამწვანების პროექტში განმცხადებელმა შესაძლებელია გაითვალისწინოს ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები (გარდა ხილ-კენკროვნებისა).

აქვე ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებით, მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით-10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, პირამიდული კვიპაროსი, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი